საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 238

18 04 2018 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ ფარგლებში სასწავლო რესურსების/სახელმძღვანელოების რედაქტორების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) შეთანხმების კოორდინატორის, 2018 წლის 16 აპრილის №424090 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018 წლის 19 აპრილიდან 2018 წლის 23 აპრილის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის (შემდგომში - პროექტი) - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ – ფარგლებში, სასწავლო რესურსების/სახელმძღვანელოების რედაქტორების შერჩევის მიზნით.
2. სასწავლო რესურსების/სახელმძღვანელოების რედაქტორების კონკურსი გამოცხადდეს - 5 ადგილზე.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სასწავლო რესურსების/სახელმძღვანელოების რედაქტორების მიერ შესასრულებელი სამუშაოს წარმოსადგენი პროდუქტები, შესაბამისი შრომის ანაზღაურება და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

4. სასწავლო რესურსების/სახელმძღვანელოების რედაქტორების თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@eqe.ge - აუცილებლად უნდა გამოაგზავნონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

5. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

6. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის - www.eqe.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

7. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე

დანართი

პოზიცია - სასწავლო რესურსების/სახელმძღვანელოების რედაქტორი

რაოდენობა - 5

ხელშეკრულების ვადები - 2018 წლის 15 ივნისის ჩათვლით

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება (ქართული ფილოლოგიის მაგისტრი, ან მასთან გათანაბრებული); დოკუმენტების (სასურველია სახელმძღვანელოების) რედაქტირების გამოცდილება; კომპიუტერზე მუშაობის უნარი (Microsoft Office Word -ის კარგად ცოდნა).

შესასრულებელი სამუშაო	პროდუქტის წარმოდგენის ვადა	წარმოსადგენი დოკუმენტაცია	ანაზღაურება
➢ პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი 7 სასწავლო რესურსის (სოფლის მეურნეობისა და სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებით) რედაქტირება, რესურსების ავტორებთან თანამშრომლობით	8 ივნისი	➢ ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ; ➢ რედაქტირებული 7 სასწავლო რესურსი	2320 ლარი